



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი 0160, ფანჯიკიძის N3

ტელეფონი: +995 322 200220

ელ-ფოსტა: info@itvet.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი სალუქვაძე

თბილისი
2019 წ.

- I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი
- II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა: 06102-პ
- III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. საკანონმდებლო ბაზა:
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროფესიული სტანდარტი
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- VII. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექმნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.
- VIII. სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ქსელური ინფრასტრუქტურის გამართვა;
 - ქსელური ინფრასტრუქტურის მუშაობის უზრუნველყოფა;
 - შიდა კაბელიზაციის და ქსელური ინფრასტრუქტურის დაგეგმვა;
 - ქსელური უსაფრთხოების ნორმების დანერგვა და დაცვა.
- IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს, ასევე ითვალისწინებს არჩევით პროფესიულ მოდულებს.
- X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები: დანართი 1.28-ით და 1.29-ით გათვალისწინებული მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად მათ უნდა დააგროვონ ჯამურად 151 კრედიტი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების გათვალისწინებით:

- მოცულობა: 151 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 99 სასწავლო კვირა (24 სასწავლო თვე)

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე:

- მოცულობა: 121 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 79 სასწავლო კვირა (19 სასწავლო თვე)

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	2	ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -1	6
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	12	ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -2	4
უცხოური ენა (ინგლისური)	5	პრაქტიკული პროექტი- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	6	ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -3	4
		მონიტორინგის და ინციდენტების აღმოჩენის სერვისები, უსაფრთხოების საფუძვლები	4	Linux ოპერაციული სისტემის საფუძვლები	3
		ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	4	Microsoft Windows Server ოპერაციული სისტემის საფუძვლები	3
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების საფუძვლები(Static, RIP, EIGRP, OSPF)	6		
		მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები	8		
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF,EIGRP,Redistribution)	8		
		ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების	8		

		უსაფრთხოება			
		შიდა და გარე კომუნიკაციები, უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, NATPAT, MPLS Applications)	5		
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი BGP	4		
		არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი	6		
		IT-პროექტების მენეჯმენტი	3		
		ქსელის საფუძვლები, კომპონენტები და აპარატურა, უსადენო ქსელის საფუძვლები	5		
		IPv4 IPv6 ადრესაცია და ქსელის ქვექსელებად დაყოფა	4		
		მეორე დონის პროტოკოლების და ტექნოლოგიების საფუძვლები	5		
სულ:	11	სულ:	90	სულ:	20

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება: კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, რომელიც რეგულირდება „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება: პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 121 კრედიტი, ხოლო პროგრამის X პუნქტით განსაზღვრულმა პროფესიულმა სტუდენტმა 151 კრედიტი;

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მოდული - Linux ოპერაციული სისტემის საფუძვლები

სწავლის შედეგები (სტუდენტს შეუძლია)	შესრულების კრიტერიუმები
1. BIOS-ის კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. ჩამოვლის ტიპების მიხედვით BIOS-ის სახეობებს 2. სწორად არჩევს BIOS-ის პარამეტრებს, ჩასატარებელი სამუშაოების მოთხოვნების ან/და სიტუაციების შესაბამისად 3. სიტუაციიდან გამომდინარე სწორად არჩევს ჩატვირთვის პრიორიტეტებს 4. სწორად განაახლებს BIOS-ის პროგრამულ უზრუნველყოფას
2. კომპიუტერის მომზადება Linux ოპერაციული სისტემის ოპტიმალური დისტრიბუტივის ინსტალაციისათვის	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აფასებს აპარატურულ მონაცემებს 2. სისტემის აპარატული მონაცემებიდან გამომდინარე სწორად შეარჩევს Linux-ის შესაბამის დისტრიბუტივს და ვერსიას
3. Linux-ის ინსტალაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად არჩევს დროებითი ჩატვირთვის მოწყობილობას 2. ზუსტად განსაზღვრავს მყარი დისკის ფორმატს და მისი დანაყოფების მოცულობას, სისტემის შემდგომი ინსტალაციისთვის. 3. სწორად არჩევს ინსტალაციის პროცესში მოთხოვნილ პარამეტრებს. სწორად ახორციელებს Linux-ის ინსტალაციას.
4. სისტემასთან მუშაობა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ახდენს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის (დე)ინსტალაციას 2. სწორად ახდენს სისტემის საბაზისო კონფიგურაციას ტექსტურ გარემოში 3. წესების დაცვით ახდენს სისტემის განახლებას 4. მოთხოვნის თანახმად ქმნის მომხმარებლებს და ჯგუფებს, 5. მიზნობრივად აწესებს სხვადასხვა უფლებებს სხვადასხვა რესურსებზე

მოდული - Microsoft Windows Server ოპერაციული სისტემის საფუძვლები

სწავლის შედეგები (სტუდენტს შეუძლია)	შესრულების კრიტერიუმები
1. ოპერაციული სისტემის Microsoft windows Server-ის დანიშნულების და ფუნქციების გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განსაზღვრავს windows Server-ის დანიშნულებას და ფუნქციებს; 2. სწორად ახდენს Windows Server-ის სისტემების კლასიფიცირებას; 3. სწორად განმარტავს ოპერაციული სისტემისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მათ ეფექტურობას; 4. შეარჩევს Windows Server -ის ვერსიას მოთხოვნის შესაბამისად
2. Microsoft Windows Server-ის ინსტალაცია გრაფიკული ინტერფეისით	<ol style="list-style-type: none"> 1. სიტუაციიდან გამომდინარე შეარჩევს BIOS-დან ჩატვირთვის პრიორიტეტებს 2. სწორად განსაზღვრავს მყარი დისკის ფორმატს და მისი დანაყოფების მოცულობას სისტემის შემდგომი ინსტალაციისთვის. 3. სწორად შეარჩევს ინსტალაციის პროცესში მოთხოვნილ პარამეტრებს. 4. წესების დაცვით ასრულებს Windows Server -ის ინსტალაციას.
3. აქტიური დირექტორიის დომეინური სერვისის (AD DS) საშუალებით მომხმარებლების და ჯგუფების შექმნა საბაზისო დონეზე	<ol style="list-style-type: none"> 1. წესების დაცვით ამზადებს სისტემას აქტიური დირექტორიის სერვისის ინსტალაციისთვის 2. წესების დაცვით აინსტალირებს აქტიური დირექტორიის დომეინური სერვისის 3. წესების დაცვით ქმნის ორგანიზაციულ დანაყოფებს 4. წესების დაცვით აწევრიანებს ჯგუფებში შექმნილ ობიექტებს მათი პარამეტრების კონფიგურაციის თანახმად
4. ჯგუფური პოლიტიკის (Group policy) საშუალებით მომხმარებლების და კომპიუტერების პარამეტრების მართვა საბაზისო დონეზე	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ჯგუფური პოლიტიკის არსს და პრინციპებს; 2. სწორად ქმნის ჯგუფურ პოლიტიკას ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე 3. წესების დაცვით შექმნის ჯგუფური პოლიტიკის ფილტრებს; 4. Disk drive-ის საშუალებით გამოუყოფს სივრცეს კონკრეტულ მომხმარებელთა ჯგუფს

მოდული - უცხოური ენა (ინგლისური)

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
<p>1. ზეპირი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს ინგლისურ ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას 2. ამომწურავად გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსსა და რაიმე შემთხვევის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. გამოაქვს სათანადო დასკვნა სხვადასხვა სახის ინფორმაციის დაკავშირების გზით 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში
<p>2. უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა- განხილვა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სათანადოდ განსაზღვრავს კითხვის მიზანსა და გამოსაყენებელ ტექნიკას 2. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს 3. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას 4. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან 5. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას
<p>3. უცხოურ ენაზე პირადი კორესპონდენციის წარმოება და წერილობითი კომუნიკაცია</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით 2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს 3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის 4. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს 5. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას
<p>4. უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას 5. წინასწარ მომზადების საფუძველზე წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პროექტს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე 6. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით

მოდული - ინფორმაციული წიგნიერება 2

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
<p>1. სამუშაო მიზნების რეალიზებისათვის საჭირო IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იყენებს ოპერაციული სისტემის გარემოს ინსტრუმენტებს; 2. სწორად ქმნის და იყენებს ინფორმაციის ორგანიზაციის ელემენტებს; 3. იყენებს „ცხელ კლავიშებს“ ოპერაციული სისტემის გარემოში და ობიექტებთან მუშაობისას; 4. სწორად ამოიცნობს ვებმისამართებისა და ელფოსტის მისამართების სიმბოლოების ერთობლიობას - სტრუქტურას; 5. საძიებო სისტემების მეშვეობით მოიძიებს თემატურ ინფორმაციას ; 6. მოიძიებს საკუთარი პროფესიული მიზნების შესრულებისთვის საჭირო პროგრამულ და აპარატურულ ელემენტებს; 7. ჩანიშნავს მოძიებული გვერდების მისამართებს ბრაუზერის მენიუში; 8. ტექსტის და ფოტოს ასლი, ვებგვერდიდან გადააქვს ტექსტურ რედაქტორში; 9. გადმოიწერს ვებგვერდზე განთავსებულ ფაილსა და თვით ვებგვერდს ფაილის სახით; 10. დავალების შესაბამისად ახორციელებს არსებული ქსელური კავშირის გარემოს იდენტიფიცირებასა და მასში კომპიუტერის ჩართვას; 11. კომპიუტერის შესაბამის პორტებში აერთებს პერიფერიულ მოწყობილობას; 12. სწორად აინსტალირებს პერიფერიული მოწყობილობის მხარდამჭერ პროგრამულ უზრუნველყოფას (Driver) კომპიუტერულ სისტემაში; 13. დავალების შესაბამისად და ბეჭდვისა და სკანირების პარამეტრების გამოყენებით იყენებს პერიფერიული მოწყობილობების სერვისებს; 14. სწორად იყენებს ინფორმაციის უსაფრთხოების, საავტორო უფლებებისა და კონფიდენციალობის დაცვის ინსტრუქციებს;
<p>2. პროფესიის შესაბამისი ტექსტური დოკუმენტის მომზადება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ტექსტური რედაქტორების შესაძლებლობებს; 2. სწორად იყენებს ტექსტური რედაქტორის ინსტრუმენტალურ საშუალებებს; 3. დავალების შესაბამისად ასრულებს დოკუმენტის ფორმატირებას; 4. დავალების შესაბამისად უთავსებს ტექსტს გრაფიკულ ელემენტებს; 5. დავალების შესაბამისად ქმნის დოკუმენტის მართვისა და კავშირის ელემენტებს; 6. ინახავს ფაილს სათანადო ფორმატით და შესაბამის მისამართზე.
<p>3. პროფესიის შესაბამისი ელ ცხრილების მომზადება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ელექტრონული ცხრილის შესაძლებლობებს; 2. დავალების შესაბამისად შეაქვს/წერს და არედაქტირებს მონაცემებს შესაბამის ფორმატში; 3. საჭიროების შესაბამისად ამატებს ან/და შლის სვეტებსა და სტრიქონებს; 4. დავალების შესაბამისად იყენებს ხშირად გამოყენებად ფუნქციებს; 5. სწორად ადგენს მარტივ ფორმულებს, უჯრების აბსოლუტური და ფარდობითი მისამართების გამოყენებით; 6. დავალების შესაბამისად აგებს დიაგრამებს; 7. დავალების შესაბამისად ახდენს მონაცემების დახარისხებას და ფილტრაციას; 8. დავალების შესაბამისად ახდენს მონაცემების პირობით დაფორმატებას; 9. ინახავს ფაილს სათანადო ფორმატით და შესაბამის მისამართზე.

<p>4. პროფესიის შესაბამისი პრეზენტაციის მომზადება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს პრეზენტაციის შესაქმნელი პროგრამების შესაძლებლობებს; 2. არჩევს სლაიდების გაფორმების სტილებს; 3. ათავსებს სლაიდებზე საკუთარ პროფესიულ დარგთან დაკავშირებულ ტექსტურ და გრაფიკულ ელემენტებს ; 4. პრეზენტაციის გასაფორმებლად იყენებს ანიმაციებს და ვიზუალურ ეფექტებს; 5. სწორად ირჩევს პრეზენტაციის ჩვენების რეჟიმებს; 6. ინახავს პრეზენტაციის ფაილს სათანადო ფორმატით შესაბამის მისამართზე.
<p>5. კომუნიკაცია ელფოსტის მეშვეობით</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად, ეთიკური ნორმების დაცვით ახდენს E-Mail-ის რეგისტრაციას ელექტრონული ფოსტის სერვისის სხვადასხვა პროვაიდერის საშუალებით; 2. დავალების შესაბამისად იყენებს ბრძანებებსა და მენიუს ელექტრონული წერილის შესაქმნელად და გასაგზავნად; 3. ახორციელებს წერილების ძიებას, ფილტრაციასა და დალაგებას; 4. ახორციელებს პერსონალური ინფორმაციის (კონტაქტები, ჩანაწერები,) შექმნასა და ორგანიზებას; 5. იცავს ელექტრონული კომუნიკაციის ეთიკას.
<p>6. Web 2.0 შესაძლებლობების გამოყენება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ინსტრუქტაჟის შესაბამისად არეგისტრირებს საკუთარ ანგარიშს უფასო Online საცავში (Cloud Storage); 2. დავალების შესაბამისად ქმნის ფაილს Online საცავში; 3. ინსტრუქტაჟის შესაბამისად ახდენს ფაილების გაზიარებას; 4. ინსტრუქტაჟის შესაბამისად ქმნის პერსონალურ გვერდს; 5. დავალების შესაბამისად ათავსებს ინფორმაციას პერსონალურ გვერდზე; 6. დავალების შესაბამისად ახორციელებს პერსონალური გვერდის სტრუქტურირებას.

მოდული - მეწარმეობა 3

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
<p>1. ბიზნესის რეგისტრაცია დაგეგმვა/</p>	<p>1. დასაბუთებულად აყალიბებს ბიზნესის იდეას;</p> <p>2. სწორად აფასებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს;</p> <p>3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასაბუთებს გადაწყვეტილებას საწარმოს/ორგანიზაციის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით;</p> <p>4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, იკვლევს ბაზარს;</p> <p>5. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ასაბუთებს შერჩეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიზანშეწონილობას;</p> <p>6. ადეკვატურად განსაზღვრავს ბიზნესიდეის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს;</p> <p>7. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ლიცენზიებს/ნებართვებს/ სერტიფიკატებს.</p>
<p>2. ბიზნესის ორგანიზება</p>	<p>1. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად აღწერს წარმოების/მომსახურების ტექნოლოგიურ პროცესს;</p> <p>2. შერჩეული ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობასა და ინვენტარს;</p> <p>3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს საჭირო მასალებსა და ნედლეულს;</p> <p>4. ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს.</p>
<p>3. პროდუქციის/ მომსახურების რეალიზაცია</p>	<p>1. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს მიწოდების ფორმას ;</p> <p>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს გაყიდვების სახეს;</p> <p>3. ბიზნესისა და მომხმარებლის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმებს;</p> <p>4. სწორად განსაზღვრავს საქონლის/მომსახურების ფასს.</p>
<p>4. ადამიანური რესურსების ორგანიზება</p>	<p>1. ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით ადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას;</p> <p>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგენს სამტატო განრიგს;</p> <p>3. ადგენს შრომითი ურთიერთობის დამყარების აქტს;</p> <p>4. სწორად ადგენს სამუშაოს აღწერილობას;</p> <p>5. სწორად აყალიბებს შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს;</p> <p>6. სწორად განსაზღვრავს თანამშრომლთა სტიმულირების გზებს;</p> <p>7. კანონმდებლობის და სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებს.</p>
<p>5. ფინანსური გეგმების შედგენა</p>	<p>1. სწორად აღწერს ბიზნესის დაფინანსების წყარო</p> <p>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად განსაზღვრავს მოსალოდნელ შემოსავლებს</p> <p>3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ ხარჯებს</p> <p>4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას ბიუჯეტში შესატან გადასახადებს</p> <p>5. სწორად ანგარიშობს მოსალოდნელი მოგების გაანგარიშებას</p>

მოდული - მონიტორინგის და ინციდენტების აღმოჩენის სერვისები, უსაფრთხოების საფუძვლები

სწავლის შედეგები (სტუდენტს შეუძლია)	შესრულების კრიტერიუმები
1. SNMP პროტოკოლის კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს SNMP-პროტოკოლის დანიშნულებას და ფუნქციებს; 2. სწორად ჩამოთვლის SNMP-პროტოკოლის ვერსიებს შორის განსხვავებებს; 3. სწორად აკონფიგურირებს SNMP-პროტოკოლის სხვადასხვა ვერსიას; 4. სწორად იყენებს SNMP პროტოკოლის მონიტორინგის პროგრამა; 5. დროულად დაადგენს და სწორად აფასებს არსებულ პრობლემებს.
2. Syslog ,NTP, Netflowპროტოკოლის კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს Syslog ,NTP, Netflowპროტოკოლის დანიშნულებას და ფუნქციებს; 2. სწორად აკონფიგურირებს Syslog ,NTP, Netflowპროტოკოლებს; 3. სწორად არჩევს Syslog პროტოკოლის მიერ მიღებულ ლოგებს; 4. სწორად იყენებს Syslog, Netflow პროტოკოლის მონიტორინგის პროგრამებს; 5. დროულად დაადგებს და სწრაფად რეაგირებს კონფიგურაციაში არსებულ პრობლემებზე.
3. DHCP,DNS პროტოკოლების კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს DHCP,DNS პროტოკოლების დანიშნულებას; 2. სწორად აკონფიგურირებს DHCP სერვერს და პარამეტრებს; 3. სწორად აკონფიგურირებს DNS სერვერს.
4. ქსელის ოპტიმიზაციის პროტოკოლების გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს EEM, RMON პროტოკოლების დანიშნულებას; 2. სწორად იყენებს EEM, RMON პროტოკოლებს; 3. სწორად ესმის FTP პროტოკოლის დანიშნულება და ფუნქციები; 4. სწორად იყენებს TFTP პროტოკოლს; 5. სწორად ესმის HTTP და HTTPS პროტოკოლის ფუნქციონირება და გამოყენების პრინციპი.

მოდული - ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება

სწავლის შედეგები (სტუდენტს შეუძლია)	შესრულების კრიტერიუმები
1. პასიური ქსელური ინფრასტრუქტურის სტანდარტების და ტიპების გარჩევა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ჩამოთვლის ქსელის კაბელის ტიპებს; 2. სწორად არჩევს საკომუნიკაციო კარადის (რეკი) ტიპებს მოთხოვნების ან/და სიტუაციების შესაბამისად; 3. სწორად არჩევს ქსელის განსართის (სოკეტის) ტიპებს მოთხოვნების ან/და სიტუაციების შესაბამისად; 4. სწორად არჩევს ნუმერაციის ტიპებს; 5. სწორად არჩევს "პაჩპანელის" ტიპებს.
2. ფიზიკური ტოპოლოგიის ნახაზის და დოკუმენტაციის შედგენა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ჩამოთვლის ლოგიკური მისამართების კლასებს შიდა და გარე დამისამართების დიაპაზონებს; 2. მოიძიებს კომპიუტერული ქსელის წერტილებზე ინფორმაციას; 3. სწორად ხაზავს ფიზიკურ ტოპოლოგიას მოთხოვნების ან/და სიტუაციების შესაბამისად; 4. სწორად დაგეგმავს ფიზიკური ტოპოლოგიის აწყობისთვის საჭირო სამუშაოებს.

მოდული - მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების საფუძვლები(Static, RIP, EIGRP, OSPF)

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. მარშრუტიზაციის ტიპების გარჩევა და მათი გამოყენების მიზნები.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს მარშრუტიზაციის დანიშნულებას 2. სწორად ანხვავებს მარშრუტიზაციის პროტოკოლის ტიპებს (Link-state; Distance Vector) 3. სწორად ანხვავებს IP მისამართების მიხედვით classless და class-full ქსელებს.
2. სტატიკური მარშრუტიზაციის საბაზისო კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ახდენს მარშრუტების განაწილებას სტატიკური მარშრუტიზაციის საშუალებით 2. სწორად აკონფიგურირებს სტანდარტულ მარშრუტს (Default Route) 3. დროულად დაადგენს და სწორად აღმოფხვრის სტატიკური მარშრუტიზაციის პრობლემებს.
3. მარშრუტიზაციის პროტოკოლი RIP -ის საბაზისო კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ანხვავებს მარშრუტიზაციის პროტოკოლ RIP-ის ვერსიებს 2. სწორად ახდენს მარშრუტების განაწილებას RIP მარშრუტიზაციის პროტოკოლის საშუალებით 3. დროულად დაადგენს და სწორად აღმოფხვრის მარშრუტიზაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს
4. მარშრუტიზაციის პროტოკოლი EIGRP -ის საბაზისო კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს IGRP და EIGRP მარშრუტიზაციის პროტოკოლების დანიშნულებას 2. სწორად ანხვავებს მარშრუტიზაციის პროტოკოლ EIGRP-ის ვერსიებს 3. სწორად ახდენს მარშრუტების განაწილებას EIGRP მარშრუტიზაციის პროტოკოლის საშუალებით 4. დროულად დაადგენს და სწორად აღმოფხვრის მარშრუტიზაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს
5. მარშრუტიზაციის პროტოკოლი OSPF -ის საბაზისო კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ანხვავებს მარშრუტიზაციის პროტოკოლ OSPF-ის ვერსიებს 2. სწორად განმარტავს SPF (Shortest Path First) ალგორითმის მუშაობის პრინციპს. 3. სწორად ახდენს მარშრუტების განაწილებას OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის საშუალებით 4. დროულად დაადგენს და სწორად აღმოფხვრის მარშრუტიზაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს

მოდული - მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. მეორე დონის პროტოკოლების: Trunk, VTP, EtherChannel, SPAN, RSPAN-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აკონფიგურირებს Trunk-ს და Trunk პროტოკოლებს; 2. სწორად აკონფიგურირებს VTP პროტოკოლს; 3. სწორად აკონფიგურირებს მეორე და მესამე დონის EtherChannel -ს; 4. სწორად აკონფიგურირებს SPAN, RSPAN პროტოკოლებს.
2. მეორე დონის პროტოკოლის: STP (Spanning Tree Protocol)-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 4. სწორად აკონფიგურირებს STP პროტოკოლს; 5. სწორად აკონფიგურირებს RSTP პროტოკოლს; 6. სწორად აკონფიგურირებს MSTP პროტოკოლს; 7. სწორად პოულობს STP პროტოკოლთან დაკავშირებულ პრობლემებს და დროულად აღმოფხვრის მათ.
3. მეორე დონის პროტოკოლების: Frame Relay, და PPP-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 5. სწორად აკონფიგურირებს Frame Relay პროტოკოლს; 6. სწორად აკონფიგურირებს PPP პროტოკოლს; 7. სწორად პოულობს PPP და Frame Relay პროტოკოლებთან დაკავშირებულ პრობლემებს და დროულად აღმოფხვრის მათ.
4. HSRP, VRRP, GLBP, DHCP-ის სერვისების კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს HSRP, VRRP, GLBP პროტოკოლებს; 2. სწორად აკონფიგურირებს HSRP, VRRP და GLBP სერვისებს; 3. სწორად აკონფიგურირებს DHCP სერვისს; 4. სწორად პოულობს HSRP, VRRP, GLBP, DHCP პროტოკოლებთან დაკავშირებულ პრობლემებს და დროულად აღმოფხვრის მათ.

მოდული - მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF,EIGRP,Redistribution)

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი EIGRP-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს EIGRP-ის შესაძლებლობებს და ატრიბუტებს; 2. სწორად აკონფიგურირებს და ამოწმებს EIGRPstubs-ს; 3. სწორად აკონფიგურირებს EIGRP-ის მეტრიკას; 4. სწორად აკონფიგურირებს Load Balancing-ს და Unequal Load Balancing; 5. დროულად ადგენს და სწორად აღმოფხვრის მარშრუტიზაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს.
2. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი OSPF-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს OSPF-ის შესაძლებლობებს და ატრიბუტებს; 2. სწორად განსაზღვრავს OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის LSA პაკეტის ტიპებს და ჩამოთვლის მათ შორის განსხვავებებს; 3. სწორად განსაზღვრავს OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის შეჯამების (summarization) და ავტორიზაციის მექანიზმებს და საშუალებებს; 4. სწორად განსხვავებს OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის ქსელის ტიპებს; 5. სწორად განსხვავებს OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის არეების ტიპებს; 6. სწორად ახდენს მარშრუტების განაწილებას OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლის საშუალებით.
3. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლებს (RIP, EIGRP,OSPF) შორის მარშრუტების გაცვლა და ოპტიმიზირება	<ol style="list-style-type: none"> 4. სწორად აფასებს რედისტრიბუციასთან დაკავშირებულ რისკებს და მოსალოდნელ გართულებებს; 5. სწორად ადგენს გასაცვლელი მარშრუტების სიას და ამზადებს ფილტრაციის სხვადასხვა საშუალებებს; 6. სწორად აკონფიგურირებს მარშრუტიზაციის პროტოკოლებს შორის გაცვლას და ამოწმებს მის მუშაობას.
4. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების (RIP, EIGRP,OSPF) IPv6 კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ირჩევს დამისამართებისთვის საჭირო მისამართებს; 2. სწორად ჩამოთვლის IPv6 ტუნელინგის პრინციპებს; 3. სწორად აკონფიგურირებს მარშრუტიზაციის პროტოკოლებს RipNG, EIGRPv6, OSPFv3.

მოდული - ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამედროვე საფრთხეების გარჩევა.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ესმის დაცული ქსელის ფუნდამენტური პრინციპები; 2. სწორად განმარტავს სამომხმარებლო მოწყობილობებთან (End User Devices) დაკავშირებულ ძირითად საფრთხეებს; 3. სწორად განმარტავს თავდასხმის მეთოდებს.
2. ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად უზრუნველყოფს უსაფრთხო წვდომას მოწყობილობებზე; 2. სწორად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პრივილეგიებს; 3. სწორადმართავსმოწყობილობებს და მონიტორინგს; 4. მოთხოვნის შესაბამისად სწორად აკონფიგურირებს AAA (Authentication, Authorization, and Accounting)-ს.
3. ACL (Access Control Lists)-ების კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 7. სწორად ესმისACL-ის ფუნქცია და დანიშნულება; 8. სწორად განმარტავსACL-ის ტიპებს; 9. სწორად აკონფიგურირებს სტანდარტულ და გაფართოებულ ACL-ებს; 10. სწორად აკონფიგურირებს რეფლექსურ, დინამიურ, დროზე დამოკიდებულ ACL-ებს; 11. სწორად აკონფიგურირებს Object Groups-ებს.
4. ქსელური შეტევებისგან თავდაცვისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების გარჩევა	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს NG Firewall-ის ფუნქციებს და მახასიათებლებს; 2. სწორად განმარტავს IPS/IDS ტექნოლოგიის მუშაობის პრინციპს; 3. სწორად განმარტავსDLP-ის ფუნქციას და დანიშნულებას; 4. სწორად განმარტავს WEB APP Firewall-ის მუშაობის პრინციპს; 5. სწორად განმარტავს APP control, URL, content filtering-ის ფუნქციას და დანიშნულებას.
5. ლოკალური ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად უზრუნველყოფს Endpoint-ისუსაფრთხოებას; 2. სწორად ესმის Layer 2 უსაფრთხოება და დაცვის მექანიზმების პრინციპები; 3. სწორად აკონფიგურირებს Layer 2 უსაფრთხოების პარამეტრებს; 4. სწორად ესმის Wireless და VoIP დაცვის მექანიზმების პრინციპები.

მოდული - შიდა და გარე კომუნიკაციები, უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, NATPAT, MPLS Applications)

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. VPN (Virtual Private Network) -ის კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს VPN-ის დანიშნულებას და ტიპებს; 2. სწორად განმარტავს GRE VPN ტუნელების დანიშნულებას; 3. სწორად აკონფიგურირებს GRE VPN გვირაბებს (tunnels); 4. სწორად განმარტავს IPsec VPN, Site-to-Site VPN, Remote-Access VPN -ის დანიშნულებას და კომპონენტებს; 5. სწორად აკონფიგურირებს IPsec VPN, Site-to-Site VPN, Remote-Access VPN-ებს; 6. დროულად აღმოაჩენს პრობლემას და სწორად დასახავს ამ პრობლემის აღმოფხვრის გზებს.
7. NAT (Network Address Translation)-ის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს Nat -ის დანიშნულებას და კომპონენტებს; 2. სწორად განსაზღვრავს NAT-ის ტიპებს; 3. სწორად აკონფიგურირებს NAT-ს; 4. დროულად აღმოაჩენს პრობლემას და სწორად დასახავს ამ პრობლემის აღმოფხვრის გზებს.
8. MPLS-ის საჭიროებისა და მისი დანიშნულების შეფასება	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს MPLS ტექნოლოგიის დანიშნულებას; 2. სწორად განსაზღვრავს MPLS-ის საჭიროებას და მის ტიპებს; 3. სწორად შეარჩევს ჩართვის ტიპებს, მათ საჭიროებას და მიზნებს.

მოდული - მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი BGP

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლის BGP-ის კონფიგურირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს BGP პროტოკოლის შესაძლებლობებს და პარამეტრებს; 2. სწორად განმარტავს BGP-ის ავტონომიურ სისტემებს; 3. სწორად ესმის BGP-ის ატრიბუტები; 4. სწორად ანსხვავებს EBGp და IBGP პროტოკოლებს; 5. სწორად აკონფიგურირებს მარშრუტების გაცვლას BGP-ი პროტოკოლის საშუალებით.
2. VRF-ების კონფიგურაცია მისი ტიპების გარჩევით.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განსაზღვრავს VRF-ის ტიპს; 2. სწორად აკონფიგურირებს Address Family-ის; 3. სწორად იყენებს და მოთხოვნის შესაბამისად აკონფიგურირებს VRF-ებს.
3. Route-map-ების გამოყენება ფილტრაციით.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ესმის Route-Map -ის ფუნქციები და მის გამოყენების პრინციპები; 2. სწორად ირჩევს და Policy Routing-ის საშუალებით ანაწილებს მარშრუტებს; 3. სწორად აკონფიგურირებს Route-Map - ებს.
4. მარშრუტების ფილტრაცია რედისტრიბუციით და შეჯამებით.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განსაზღვრავს ფილტრაციისთვის საჭირო მარშრუტებს; 2. სწორად განსაზღვრავს რედისტრიბუციისათვის საჭირო მარშრუტებს; 3. სწორად განსაზღვრავს შეჯამებისთვის (Summarization) საჭირო მარშრუტებს; 4. სწორად ირჩევს ფილტრაციის მექანიზმს; 5. სწორად წერს Ip access-list / prefix-list-ს; 6. სწორად ახორციელებს მარშრუტების რედისტრიბუციას.

მოდული - არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. მეორე დონის პროტოკოლების დიაგნოსტიკა პრობლემების აღმოფხვრით	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ახდენს მეორე დონის პროტოკოლების დიაგნოსტიკას; 2. სწორად ახდებს პრობლემის იდენტიფიცირებას მოგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე; 3. სწორად აღმოფხვრის იდენტიფიცირებულ პრობლემას.
2. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების დიაგნოსტიკა პრობლემების აღმოფხვრით	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ახდენს მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების დიაგნოსტიკას; 2. სწორად ახდებს პრობლემის იდენტიფიცირებას მოგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე; 3. სწორად აღმოფხვრის იდენტიფიცირებულ პრობლემას.
3. მონიტორინგის, ინციდენტების და სხვადასხვა სერვისების დიაგნოსტიკა პრობლემების აღმოფხვრით	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ახდენს მონიტორინგის, ინციდენტების და სხვადასხვა სერვისების დიაგნოსტიკას; 2. სწორად ახდებს პრობლემის იდენტიფიცირებას მოგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე; 3. სწორად აღმოფხვრის იდენტიფიცირებულ პრობლემას.

მოდული - IT- პროექტების მენეჯმენტი

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. პროექტის დაგეგმვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ჩამოთვლის პროექტების მართვის ზოგად პრინციპებს 2. სწორად განმარტავს პროექტების მართვის თითოეულ ზოგად პრინციპს 3. სწორად აწესრიგებს MS Project-ის სამუშაო ინტერფეისს 4. გეგმავს პროექტს ცალკეული კრიტერიუმებისა და ამოცანების შესაბამისად 5. სწორად შემოაქვს ამოცანები (განტის დიაგრამა) 6. სწორად განსაზღვრავს თითოეული მოქმედებების თანმიმდევრობასა და ხანგრძლივობას
2. პროექტის სტრუქტურირება ვადების ოპტიმიზაციით	<ol style="list-style-type: none"> 1. ამოცანების შესაბამისად ქმნის ახალი სამუშაო გრაფიკის კალენდარს 2. სწორად განსაზღვრავს ჯამურ, ეტაპურ, განმეორებად და შეჩერებულ მოქმედებებს 3. სწორად განსაზღვრავს გამოყოფილი მოქმედებებისთვის კავშირის ტიპს (FS, FF, SF, SS) 4. ზუსტად განსაზღვრავს პროექტის საკვანძო და კრიტიკულ თარიღებს
3. რესურსების დამატება, ტიპის განსაზღვრისა და გადანაწილების გათვალისწინებით	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს რესურსების დამატების პროცედურას 2. წესების თანახმად, ამატებს ახალ რესურსს 3. სწორად განსაზღვრავს რესურსის ტიპს 4. სწორად ანაწილებს რესურსს შესაბამის მოქმედებებზე 5. ზუსტად აღწერს რესურსების გადატვირთვას 6. შესაბამისად აღმოფხვრის რესურსების გადატვირთვას
4. პროექტის ღირებულების შეფასება რისკებისა და შესრულების ანალიზის გათვალისწინებით	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აფასებს დანახარჯებს მოქმედებების (ამოცანების) მიხედვით 2. სწორად აფასებს დანახარჯებს რესურსების (ამოცანების) მიხედვით 3. სწორად ახორციელებს რისკების იდენტიფიკაციას 4. ზუსტად აღწერს და აანალიზებს ბიუჯეტს

მოდული - ქსელის საფუძვლები, კომპონენტები და აპარატურა, უსადენო ქსელის საფუძვლები

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. ქსელების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს ქსელის არსს და უპირატესობებს; 2. სწორად განასხვავებს ქსელის ტიპებს; 3. სწორად აღწერს ქსელურ მოწყობილობებს; 4. სწორად აღწერს ქსელური მოწყობილობების დაკავშირების ტიპებსა და მახასიათებლებს; 5. სწორად განასხვავებს ქსელის ფიზიკურ ტოპოლოგიებს და მათ მახასიათებლებს.
2. ქსელური მოწყობილობების ფიზიკური და ლოგიკური მისამართების განსაზღვრა	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუსტად განმარტავს თვლის სისტემებს და სწორად ახდენს ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში კონვერტაციას; 2. სწორად აღწერს ფიზიკური და ლოგიკური მისამართების დანიშნულებას; 3. სწორად განასხვავებს ლოგიკური მისამართების კლასებს, შიდა და გარე დამისამართების დიაპაზონებს.
3. TCP/IP და OSI მოდელების გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს TCP/IP და OSI მოდელის დონეებსა და მათ ფუნქციებს; 2. სწორად განასხვავებს TCP/IP და OSI მოდელის შრეებს და იცის მათი ურთიერთდამოკიდებულება; 3. სწორად აღწერს TCP/IP და OSI მოდელის შრეებზე მომუშავე პროტებსა და პროტოკოლებს, მათ ფუნქციებსა და მახასიათებლებს.
4. მარტივი საკაბელო შიდა ქსელის გამართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. კაბელიზაციის სტანდარტების დაცვით ახდენს კაბელების თავების დასმას კონექტორზე; 2. ტოპოლოგიის შესაბამისად ახდენს საკაბელო ქსელის გაყვანას; 3. ქსელის სტანდარტების და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სწორად; ახდენს საკაბელო ქსელის კონფიგურაციას.
5. მარტივი უკაბელო ქსელის კონფიგურაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს უკაბელო ქსელის სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებს; 2. ტოპოლოგიის შესაბამისად ახდენს უკაბელო ქსელის გაყვანას; 3. უკაბელო ქსელის სტანდარტების და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით აკონფიგურირებს გრაფიკული ინტერფეისის მქონე ქსელურ მოწყობილობებს.

მოდული - IPv4 IPv6 ადრესაცია და ქსელის ქვექსელებად დაყოფა

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. IPv4 დამისამართება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს IPv4-ის დანიშნულებას; 2. სწორად განასხვავებს IPv4-ის კლასებს; 3. სწორად განასხვავებს გლობალურ და ლოკალურ მისამართებს; 4. სწორად ესმის IPv4 Multicast/Broadcast მისამართების დანიშნულება; 5. სწორად ახდენს IPv4 მისამართების გაწერას მოწყობილობებზე.
2. IPv6 დამისამართება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს IPv6-ის დანიშნულებას; 2. სწორად განასხვავებს IPv6-ის კლასებს; 3. სწორად განასხვავებს გლობალურ და ლოკალურ მისამართებს; 4. სწორად ესმის IPv6 Multicast მისამართების დანიშნულება; 5. სწორად ახდენს IPv6 მისამართების გაწერას მოწყობილობებზე.
3. ქსელების ქვექსელებად დაყოფა - Subnetting	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ესმის Subnetting-ის ფუნქცია და დანიშნულება; 2. სწორად ირჩევს ქვექსელის ნიღაბს(Network Masks); 3. მოთხოვნების შესაბამისად სწორად ახდენს ქსელის ქვექსელებად დაყოფას.
4. ქსელების შეჯამება - Summarization.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ესმის შეჯამების ფუნქცია და დანიშნულება; 2. სწორად შეარჩევს შეჯამებისთვის საჭირო ქსელებს;

მოდული - მეორე დონის პროტოკოლების და ტექნოლოგიების საფუძვლები

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. Ethernet ტექნოლოგიისა და სტანდარტების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა	1. ზუსტად განმარტავს ფიზიკური მისამართის (MAC) დანიშნულებას და ტიპებს; 2. სწორად განმარტავს ქსელური მოწყობილობების მუშაობის პრინციპებს; 3. სწორად განმარტავს პირველი დონის (Layer 1) სტანდარტებს და ტიპებს; 4. ზუსტად ეცოდინება ფრეიმის სტრუქტურა.
2. კომუტატორის (Switch) საბაზისო კონფიგურაცია	1. სწორად განსაზღვრავს კომუტატორის კონფიგურაციის რეჟიმებს; 2. სწორად ახდენს კომუტატორის საბაზისო კონფიგურაციას ; 3. სწორად ინახავს კონფიგურაციას, კონფიგურაციის ასლს და ახდენს მის აღდგენას.
3. Vlan-ების და Trunk-ების მუშაობის პრინციპის და ტიპების კონფიგურაცია	1. სწორად ესმის Vlan-ის არსი, დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; 2. სწორად განამარტავს 802.1Q და ISL მუშაობის პრინციპებს; 3. სწორად აკონფიგურირებს Vlan-ებს და Trunk-ებს .
4. STP-ის სტანდარტების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა.	1. სწორად განმარტავს STP-ს დანიშნულებას Ethernet ქსელში; 2. ზუსტად განმარტავს STP-ს მუშაობის პრინციპი; 3. სწორად განამარტავს STP-ს სტანდარტებს და ტიპებს.
5. მეორე დონის ტექნოლოგიების და პროტოკოლების: VTP, DTP, CDP, LLDP PoE და Etherchannel-ის მუშაობის პრინციპების და ტიპების განმარტება და საბაზისო კონფიგურაცია	1. სწორად განამარტავს მეორე დონის ტექნოლოგიების და პროტოკოლების დანიშნულებას 2. ზუსტად იცის მეორე დონის ტექნოლოგიების და პროტოკოლების მუშაობის პრინციპები. 3. სწორად ახდენს მეორე დონის ტექნოლოგიების და პროტოკოლების საბაზისო კონფიგურაციას

მოდული - გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა	1. განმარტავს პროფესიის არსსა და პროფესიულ ვალდებულებებს 2. ჩამოთვლის დასაქმების შესაძლებლობებს 3. ახორციელებს კონკრეტულ სამუშაოებთან მიმართებაში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირებას 4. მოიძიებს დასაქმების შესაძლებლობებს, სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად არხებზე (საძიებო ვებ-გვერდები/შრომის ბირჟები) დაყრდნობით 5. აღწერს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შრომითი ურთიერთობების ნორმებს
2. კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა	1. სწორად აყალიბებს კონკრეტული ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრულ პოლიტიკასა და წესებს და პროფესიული ეთიკის ნორმებს 2. აღწერს კონკრეტული ორგანიზაციის სტრუქტურას 3. ახორციელებს კონკრეტულ ორგანიზაციაში მოქმედი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესების იდენტიფიცირებას 4. სწორად აღწერს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს 5. აღწერს შრომის ეფექტურობისთვის აუცილებელ პიროვნულ მახასიათებლებს 6. აღწერს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ძირითად პრინციპებს
3. პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება	1. მკაფიოდ აღწერს საკუთარ შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებს, კონკრეტულ სამუშაო მოთხოვნებთან მიმართებით 2. ინსტრუქციის შესაბამისად ავსებს დასაქმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას 3. შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი ნორმებითა და რეგულაციებით 4. აღწერს პროფესიული თვით-განვითარებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას.

მოდული - საწარმოო პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწავლობს ორგანიზაციულ მოწყობას კონკრეტულ პროფესიაში 2. ოპტიმალურად იყენებს კონკრეტულ სამუშაო გარემოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ წესებს 3. მაქსიმალურად იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს 4. აყალიბებს ოპტიმალურ ურთიერთობებს კოლეგებთან, ასევე, გარეშე პირებთან. 5. მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს თანასწორობასთან დაკავშირებული, მათ შორის, რასის, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებების, შესაძლებლობებისა და სხვა პრინციპებით
2. სამუშაო გარემოს დამოუკიდებლად ორგანიზება	<ol style="list-style-type: none"> 1. უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ეფექტურ ორგანიზებას 2. ზედმიწევნით იცავს ორგანიზაციის ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენების წესებს 3. ზედმიწევნით იცავს შრომის უსაფრთხოების წესებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს 4. ითვალისწინებს გარემოსდაცვით ნორმებს სამუშაო გარემოს ორგანიზებისას
3. მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება	<ol style="list-style-type: none"> 1. ოპტიმალურად ახორციელებს სამუშაოს დროში განაწილებასა და ვადების დაცვას 2. ხარისხის ნორმების შესაბამისად, იცავს ტექნოლოგიურ სიზუსტეს 3. სწორად იყენებს მასალებს, ხელსაწყოებსა და დანადგარებს 4. გადაჭრის პროფესიული ამოცანის შესრულების პროცესში წარმოშობილ პრობლემას 5. ასრულებს სამუშაოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვით
4. შესრულებული სამუშაოს ჩაბარება	<ol style="list-style-type: none"> 1. ხარისხის ნორმების შესაბამისად ამოწმებს შესრულებულ სამუშაოს 2. აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში სწორად ახორციელებს შესაბამისი პირის ინფორმირებას 3. მოქმედი ხარისხის ნორმების შესაბამისად, აღმოფხვრის ხარვეზებს 4. წესების დაცვით აბარებს შესრულებულ სამუშაოს 5. სწორად აკეთებს ჩანაწერებს შესრულებული სამუშაოს შესახებ 6. ეფექტურად ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის წარდგენას

მოდული - პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
<p>1. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განსაზღვრავს პროფესიული ამოცანის შესრულების ძირითად ეტაპებსა და დროს 2. სწორად განსაზღვრავს შესაძლო რისკებსა და მათი პრევენციის გზებს 3. სწორად განსაზღვრავს, შესასრულებელი დავალების შესაბამისად, პროფესიული ურთიერთობების ტიპებსა და პასუხისმგებლობებს 4. სწორად არჩევს სამუშაოსთვის აუცილებელ რესურსებსა და საჭირო მეთოდებს 5. დავალების ინსტრუქციის შესაბამისად, ქმნის ოპტიმალურ სამუშაო გეგმას
<p>2. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მიღწეული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად ასრულებს პროფესიულ ამოცანას (პროდუქტი/სერვისი) დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად 2. პროფესიული ამოცანის შესრულებისას წამოჭრილი პრობლემის შემთხვევაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას პრობლემის მოსაგვარებლად 3. მოიძიებს პროფესიული ამოცანის შესასრულებლად საჭირო თანამედროვე ინფორმაციას
<p>3. შესრულებული ამოცანების ანგარიშგება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. აფასებს შესრულებულ სამუშაოს, დადგენილი ინსტრუქციების შესაბამისად 2. ინსტრუქციის დაცვით, უზრუნველყოფს შესრულებული პროფესიული ამოცანის პროდუქტის/შედეგის წარდგენას 3. სწორად აფასებს გათვალისწინებულ სიტუაციებში მოქმედების შედეგებს 4. შეიმუშავებს შესრულებული სამუშაოს დეტალურ ანგარიშს

მოდული - ქართული ენა A2

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა	<ol style="list-style-type: none"> 1. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს; 2. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 3. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 4. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.
3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით; 2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის; 4. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 5. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.
4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას; 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.

მოდული - ქართული ენა B1

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე და საყოფაცხოვრებო თემებზე;	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;	<ol style="list-style-type: none"> 1. სათანადოდ განსაზღვრავს კითხვის მიზანსა და გამოსაყენებელ ტექნიკას; 2. გარკვევით და გამართულად კითხულობს სხვადასხვა სახის ტექსტს; 3. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 5. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.
3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა, პირადი კორესპონდენციის წარმოება;	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტს (განცხადება, ბიოგრაფია, სამოტივაციო წერილი, მოკლე მოხსენება...) ელემენტარული წესების დაცვით; 2. აყალიბებს მარტივ რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს მისთვის საინტერესო და ნაცნობ თემებზე; 3. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 4. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის; 5. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 6. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.
4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინების მნიშვნელობას; 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. ამზადებს მოკლე, მარტივ პრეზენტაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე; 6. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.